

# ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება 1 (C++/C#-ის ბაზაზე, ინფორმატიკა ) I სემესტრი. 2017-2018 წელი (დასკვნითი გამოცდის ნიმუში)

## Question 1

/\* და \*/ სიმბოლოებს შორის მოთავსებულია:

Select one:

- a. ერთსტრიქონიანი კომენტარი
- b. მრავალსტრიქონიანი კომენტარი
- c. კომენტარი ამ სიმბოლოებით არ იწყება

## Question 2

bool სიტყვა იწყებს:

Select one:

- a. ლოგიკური ცვლადის გამოცხადებას
- b. მთელი რიცხვის გამოცხადებას
- c. წილადის გამოცხადებას

## Question 3

```
{  
  
    int ricxvi1 = 60;  
    byte ricxvi2;  
    ricxvi2 = ( byte ) ricxvi1;  
  
}
```

კოდის შესრულების შედეგად:

Select one:

- a. ნაწილობრივ მოხდება ინფორმაციის დაკარგვა
- b. არ მოხდება ინფორმაციის დაკარგვა
- c. მოხდება ინფორმაციის დაკარგვა

## Question 4

გლობალური ცვლადები:

Select one:

- a. შეზღუდული ზომების მქონეა
- b. მოქმედებს ყველა მეთოდის შიგნით
- c. არ მოქმედებს ყველა მეთოდის შიგნით

### Question 5

for ოპერატორში დასაშვებია:

Select one:

- a. რამდენიმე მმართველი ცვლადის მითითება
- b. მხოლოდ ორი მმართველი ცვლადის მითითება
- c. მხოლოდ ერთი მმართველი ცვლადის მითითება

### Question 6

continue ოპერატორის შესრულების შედეგად:

Select one:

- a. ციკლის დანარჩენი ოპერატორები მაინც შესრულდება
- b. ციკლის დანარჩენი ოპერატორები ხან შესრულდება, ხან არა
- c. ციკლის დანარჩენი ოპერატორები არ შესრულდება

### Question 7

Length თვისება ინახავს ინფორმაციას:

Select one:

- a. მასივში ელემენტების საერთო რაოდენობის შესახებ
- b. მასივის თითოეული ელემენტის სიგრძის შესახებ
- c. მასივში მთელი რიცხვა ელემენტების რაოდენობის შესახებ

### Question 8

თუ | ბიტობრივი ოპერატორის ერთ-ერთი ოპერანდია 1, მაშინ შედეგი იქნება:

Select one:

- a. 0
- b. 1
- c. -1

### Question 9

იქმნება თუ არა ობიექტი class სიტყვის გამოყენებით კლასის გამოცხადებისას:

Select one:

- a. კი
- b. ხანდახან
- c. არა

### Question 10

მიმართვითი ტიპის ცვლადი ინახავს:

Select one:

- a. ცვლადის მისამართს
- b. ცვლადის მნიშვნელობას
- c. ობიექტის მისამართს

### Question 11

როგორია მეთოდის სინტაქსი:

Select one:

- a. მეთოდის\_სახელი (პარამეტრების\_სია) { მეთოდის კოდი }
- b. მიმართვის\_მოდულიკატორი ტიპი მეთოდის\_სახელი (პარამეტრების\_სია) { მეთოდის კოდი }
- c. მიმართვის\_მოდულიკატორი ტიპი მეთოდის\_სახელი (მეთოდის კოდი) { პარამეტრების\_სია }

### Question 12

პარამეტრი მოქმედებს:

Select one:

- a. მთელ პროგრამაში
- b. მხოლოდ თავისი მეთოდის ხილვადობის უბანში
- c. სხვა მეთოდის ხილვადობის უბანში

### Question 13

როდის გამოიძახება ავტომატური კონსტრუქტორი:

Select one:

- a. როცა კლასში კონსტრუქტორი არის განსაზღვრული
- b. როცა კლასში მეთოდები არ არის განსაზღვრული
- c. როცა კლასში კონსტრუქტორი არ არის განსაზღვრული

### Question 14

მეთოდში ოპერატორის ჩაწერა this სიტყვის გარეშე არის:

Select one:

- a. ობიექტის გამოცხადების სახე სხვაობა
- b. ჩაწერის შემოკლებული ფორმა
- c. ჩაწერის განვრცობილი ფორმა

### Question 15

params მოდიფიკატორი საშუალებას გვაძლევს მეთოდს გადავცეთ:

Select one:

- a. მხოლოდ ორი არგუმენტი
- b. არგუმენტების ნებისმიერი რაოდენობა
- c. არც ერთი არგუმენტი

### Question 16

ერთი მეთოდის ინიციალიზებისათვის კონსტრუქტორმა:

Select one:

- a. შეიძლება გამოიყენოს მხოლოდ ლოგიკური ობიექტები
- b. შეიძლება მეორე ობიექტი გამოიყენოს
- c. არ შეიძლება მეორე ობიექტი გამოიყენოს

### Question 17

რა იქნება str1 ცვლადის მნიშვნელობა მოცემული კოდის შესრულების შემდეგ

```
{  
string str1, str2 = "C# დაპროგრამების ენა", str3 = "თანამედროვე ";  
str1 = str2.Insert(17, str3);  
label1.Text = str1;  
}
```

Select one:

- a.  
მიიღება სტრიქონი "C# დაპროგრამების თანამედროვე ენა"
- b.  
მიიღება სტრიქონი "C#დაპროგრამებისთანამედროვეენა"
- c. მიიღება სტრიქონი "C# თანამედროვე ენა"

### Question 18

DateTime სტრუქტურის DayOfWeek თვისება:

Select one:

- a. შეიცავს კვირის დღის მნიშვნელობას 0 (კვირა) , 6 (შაბათი) დიაპაზონში
- b. შეიცავს თვის დღის მნიშვნელობას 1 , 31 დიაპაზონში
- c. შეიცავს მიმდინარე თარიღსა და დროს

### Question 19

DateTime სტრუქტურის Equals() მეთოდი:

Select one:

- a. გასცემს დღეების რაოდენობას მითითებული წლის მითითებული თვისათვის
- b. გასცემს true-ს, თუ წელი ნაკიანია, წინააღმდეგ შემთხვევაში false-ს
- c. ტოლობაზე ადარებს ორ DateTime სტრუქტურას

### Question 20

```
TimeSpan Drois_Intervali1 = new TimeSpan( 5, 15, 45);
```

```
label1.Text = Drois_Intervali1.Days.ToString();
```

კოდის შესრულების შედეგად გაიცემა:

Select one:

- a. 5
- b. 45
- c. 0